# აიპ "ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანები" საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

## №1

ქ. ქუთაისი

1 ნოემბერი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით სარალიძე – აიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" დირექტორის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

გიორგი ბუაძე – აიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" შესყიდვების კოორდინატორი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ბაკურ თათელიშვილი – აიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" მთავარი ბუღალტერი, საკონკურსო კომისიის წევრი.

გივი გოცაძე – აიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" იურისტი, საკონკურსო კომისიის წევრი.

კოტე რატიანი – ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი საკონკურსო კომისიის მოწვეული წევრი.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი**

აიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" № 9; 13; 15; 17; 18; 26; 30; 33; 35 ფილიალების შენობა–ნაგებობის კაპიტალური რემონტის და კეთილმოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის მოადგილემ გიორგი ბუაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების, საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

**აზრი გამოთქვეს:**

დავით სარალიძემ –სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ. კომისიის წევრებმა: გივი გოცაძემ; ბაკურ თათელიშვილმა

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ აიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" № 9; 13; 15; 17; 18; 26; 30; 33; 35 ფილიალების შენობების კაპიტალური რემონტის და კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის კონკურსის წესით შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები
2. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2011 წლის 4 ნოემბრის 12:00 საათამდე პერიოდი.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვრის აიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანება" (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №, მე– 2 სართული, ოთახი №3).

4. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge მეშვეობით

საკონკურსოკომისიის თავმჯდომარე: დავით სარალიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი ბუაძე

კომისიის წევრები: ბაკურ თათელიშვილი

გივი გოცაძე

კომისიის მოწვეული წევრი: კოტე რატიანი